საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის
1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით

უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების

კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა

1. ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები. იგი გამოიყენება აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც არ ითვლება იმ სახელმწიფოს შიდა გადაწყვეტილებებად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება.

2. ტერმინი "საარბიტრაჟო გადაწყვეტილებანი" გულისხმობს არა მარტო ყოველი ცალკეული საქმის გამო დანიშნული არბიტრების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, არამედ იმ მუდმივი საარბიტრაჟო ორგანოების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გაგადაწყვეტილებებსაც, რომლებსაც მხარეებმა მიმართეს.

3. ამ კონვენციის ხელმოწერის რატიფიცირების ან მასთან შეერთების ან ამ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნაცვალგების საფუძველზე განაცხადოს, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის.

მას აგრეთვე შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ ისეთ სახელშეკრულებო ან სხვა სამართალურთიერთობათა საფუძველზე წარმოშობილი დავის მიმართ, რომლებიც განმცხადებელი სახელმწიფოს ეროვნული კანონით სავაჭრო ურთიერთობად ითვლება.

მუხლი II

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ცნობს წერილობით შეთანხმებას რომლითაც მხარეები ვალდებულებას კისრულობენ არბიტრაჟს გადასცენ ყველა ან ზოგიერთი სადავო სარჩელი, რომლებიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის რომელიმე კონკრეტული სახელშეკრულებო ან სხვა სამართალურთიერთობის გამო, რომლის ობიექტი შეიძლება საარბიტრაჟო გარჩევის საგანი გახდეს

2. ტერმინი "წერილობითი შეთანხმება" ნიშნავს ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებით შენიშვნას, ამ მხარეების მიერ ხელმოწერილ საარბიტრაჟო შეთანხმებას, ან რომელსაც შეიცავს წერილებისა და დეპეშების გაცვლა.

3. ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო, თუ მასთან შედის სარჩელი საკითხზე, რომელზეც მხარეებმა დადეს ამ მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება, მოვალეა ერთ-ერთი მხარის თხოვნით მხარეები გაგზავნოს არბიტრაჟში, თუ არ ჩათვლის რომ ეს შეთანხმება გაუქმებული, ძალადაკარგულია ან შეუძლებელია მისი შესრულება.

მუხლი III

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღასრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით.

იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებისთვისაც გამოიყენება ეს კონვენცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითად უფრო მძიმე პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი ან მოსაკრებლები იმასთან შედარებით, რომლებიც არსებობს შიდა გადაყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის.

მუხლი IV

1. წინა მუხლში აღნიშნული ცნობის მისაღებად და აღსრულებისათვის ცნობისა და აღსრულების მთხოვნელი მხარე თხოვნის შეტანისას წარადგენს:

a) სათანადოდ დამოწმებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანს, ან სათანადოდ დამოწმებულ მის ასლს;

b) II მუხლში აღნიშნული შეთანხმების დედანს, ან სათანადოდ დამოწმებულ მის ასლს.

2. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება დაწერილი არ არის იმ ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, მხარე რომელიც ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას ითხოვს, წარადგენს ზემოაღნიშნული საბუთების თარგმანს ამ ენაზე.

თარგმანი მოწმდება ოფიციალური ან ნაფიცი მთარგმნელის მიერ ან დიპლომატიური ან საკონსულო დაწესებულების მიერ.

მუხლი V

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა იმ მხარის თხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ეს მხარე კომპეტენტურ ხელისუფლებას აღგილის მიხედვით, სადაც მოითხოვება ცნობა და აღსრულება, წარუდგენს იმის დამამტკიცებელ საბუთებს7 რომ;

a) II მუხლში აღნიშნული შეთანხმების მხარეები, მათ მიმართ გამოყენებული კანონის მიხედვით, გარკვეულწილად ქმედუუნარონი იყვნენ ან ეს შეთანხმება ძალა დაკარგულია იმ კანონით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კანონით, სადაც გადაწყვეტილება მიიღეს, ან

b) მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბტრაჟო გარჩევის თაობაზე, ან სხვა მიზეზით ვერ შეძლო თავის ახსნა-განმარტების წარდგენა, ან

c) აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია დავის გამო, რომელიც არ არის გათვალისწინებული ან არ ექვემდებარება სარბიტრაჟო შეთანხმებას ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებით შენიშვნას, ან შეიცავს დადგენილებებს საკითხებზე, რომლებიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებითი შენიშვნის ფარგლებს, ხოლო თუ შესაძლებელია, რომ

დადგენილებები ისეთ საკითხებზე, რომლებსაც მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმება ან ხელშეკრულების დამატებითი შენიშვნა, ცალკე გამოიყოს იმ საკითხებიდან, რომლებსაც არ მოიცავს ასეთი შეთანხმება ან დამატებითი შენიშვნა, მაშინ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს დადგენილებებს საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებითი შენიშვნით გათვალისწინებულ საკითხებზე, ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას, ან

d) საარბიტრაჟო ორგანოს შემადგენლობა ან საარბიტრაჟო პროცესი არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას ან, ასეთის არარსებობისას - იმ ქვეყნის კანონს, სადაც არბიტრაჟი მოეწყო, ან

e) გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო მხარეთათვის ან გაუქმებულ ან აღსრულებით შეჩერებულ იქნა იმ ქვეძნის კომპეტენტური ხელისუფლების მიერბ სადაც იგი მიიღეს ან იმ ქვეყნის ხელისუფლების მიერ, რომლის კანონიც არის გამოძენებული.

2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა, თუ იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლება, სადაც მოითხოვება ცნობა და აღსრულება, ჩათვლის, რომ:

a) ამ ქვეყნის კანონით, დავის ობიექტი არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო გარჩევის საგანი, ან

b) ამ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯაროობის წესს.

მუხლი VI

თუ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გeბ ქვეპუნქტში აღნიშნული კომპეტენტური ხელისუფლების წინაშე აღიძრა შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან აღსრულების შეჩერების შესახებ, მაშინ იმ ხელისუფლებას, რომელსაც მიმართეს თხოვნით ამ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შეუძლია თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, გადადოს ამ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის გადაწყვეტა აგრეთვე შეუძლია იმ მხარის შუამდგომლობით, რომელიც ითხოვს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას, დაავალდებულოს მეორე მხარე წარადგინოს ჯეროვანი უზრუნველყოფა.

მუხლი VII

1. ამ კონვენციის დადგენილებანი არ ეხება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ დადებულ მრავალმხრივ და ორმხრივ შეთანხმებათა ნამდვილობას, და არ ღახავს არც ერთი დაინტერესებული მხარის ფლებას ისარგებლოს ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით იმ წესით და იმ ფარგლებში, რომლებიც დაშვებულია ასეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მთხოვნელი ქვეყნის კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

2. საარბიტრაჟო დამატებითი შენიშვნების შესახებ ჟენევის 1923 წლის ოქმი და უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ ჟენევის 1927 წლის კონვენცია ძალადაკარგულად ითვლება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის მას შემდეგ რაც მათთვის სავალდებულო გახდება ეს კონვენცია, და იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი მათთვის სავალდებულო ხდება.

მუხლი VIII

1. ეს კონვენცია ღიაა 1958 წლის 31 დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერი წევრის, აგრეთვე ნებისმიერი სახელმწიფოს სახელით ხელმოსაწერად, რომელიც არის ან შემდგომ გახდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე სპეციალიზებული დაწესებულების წევრი ან რომელიც არის ან შემდგომში გახდება საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე, ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს სახელით, რომელსაც მიიწვევს გაერთიანებული ერებისორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.
2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას და სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

მუხლი IX.

1. ამ კონვენციას შეუძლია შეუერთდეს VIII მუხლში ჩამოთვლილი ყველა სახელმწიფო.
2. შეერთება ხდება შეერთების შესახებ სიგელის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებით.

მუხლი X

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება მთელ ან ზოგიერთ ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობისთვისაც მას ეკისრება პასუხისმგებლობა.
ასეთი განცხადება ძალაში შედის აღნიშნული სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლასთან ერთად.
2. ზემოაღნიშნულის შემდეგ ნებისმიერ დროს ასეთი გავრცელება შეიძლება მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების მეშვეობით და ძალაში შედის მის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან ოთხმოცდამეათე დღეს, ან შესაბამისი სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ რომელი ვადა გადის უფრო გვიან.
3. რაც შეეხება ტერიტორიებს, რომლებზეც ეს კონვენცია არ გავრცელდება მისი ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს, თითოეულმა დაინტერესებულმა სახელმწიფომ უნდა განიხილოს ისეთ ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობის საკითხი, რომლებიც საჭიროა აღნიშნული ტერიტორიების მიმართ ამ კონვენციის გამოყენებისათვის იმ პირობით, თუ ამის თანხმობას განაცხადებენ აღნიშნულ ტერიტორიათა მთავრობები, სადაც ეს აუცილებელია კონსტიტუციურ საფუძველზე.

მუხლი XI

ფედერაციული და არაუნიტარული სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება ქვემოჩამოთვლილი დადგენილებანი:

a) ამ კონვენციის იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც განეკუთვნება ფედერალური ხელისუფლების საკანონმდებლო იურისდიქციას, ფედერალური ხელისუფლების ვალდებულებანი შესაბამის ფარგლებში იგივეა, რაც იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ვალდებულებანი, რომლებიც არ არიან ფედერალური სახელმწიფოები;

b) რაც შეეხება ამ კონვენციის იმ მუხლებს, რომლებიც განეკუთვნება ფედერაციის შემქმნელ სახელმწიფოთა ან პროვინციათა საკანონმდებლო იურისდიქციას, რომლებიც, ფედერაციის კონსტიტუციური სისტემის თანახმად, ვალდებულნი არ არიან მიიღონ საკანონმდებლო ღონისყიებანი, ფედერალური მთავრობა ასეთ მუხლებს თავისი ხელსაძრელი რეკომენდაციით აცნობებს სახელმწიფოთა და პროვინციათა შესაბამის ხელისუფალთ რაც შეიძლება მოკლე დროში;

c) ამ კონვენციის მონაწილე ფედერაციული სახელმწიფო, ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოთხოვნით, რომელიც გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით, წარადგენს ცნობას ფედერაციისა და მისი შეემადგენელი ნაწილების იმ კანონებისა და პრაქტიკის თაობაზე, რომლებიც ეხება ამ კონვენციის ნებისმიერ კონკრეტულ დადგენილებას, ამასთან აღნიშნავს თუ როგორ განხორციელდა ეს დადგენილება საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებით.

მუხლი XII

1. ეს კონვენცია ძალაში შედის მესამე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების თაობაზე სიგელის დეპონირების დღიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება ან შეუერთდა მას მესამე სარატიფიკაციო მოგელის ან შეერთების თაობაზე სიგელის დეპონირების შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ თავისი სარატიფიკაციო სიგელის ან შერთების თაობაზე სიგელის დეპონირებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

მუხლი XIII

1. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი
შეტყობინებით

დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

2. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც განაცხადა ან გაგზავნა შეტძობინება მე-10 მუხლის საფუძველზე, შემდგომ ნებისმიერ დროს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინებაში განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მოქმედება შესაბამისი ტერიტორიის მიმართ შეწყდება გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

3. ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომელთა ცნობისა და აღსრულების თაობაზე საქმეთა გარჩევა დაიწყო დენონსაციის ყალაში შესვლამდე.

მუხლი XIV

არც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ისარგებლოს ამ კონვენციით სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების წინააღმდეგ გარდა იმ ფარგლებისა, რომლებშიც იგი ვალდებულია გამოიყენოს ეს კონვენცია.

მუხლი XV

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი XIII მუხლში აღნიშნულ სახელმწიფოებს აცნობებს:

a) VIII მუხლის თანახმად ხელმოწერისა და რატიფიკაციის შესახებ:;

b) IX მუხლის თანახმად შეერთების შესახებ;

c) განცხადებებისა და შეტყბინებათა შესახებ რომლებიც გამომდინარეობენე I,X და XI მუხლებიდან;

d) XII მუხლის თანახმად ამ კონვენციის ძლაში შესვლის დღის შესახებ;

e) XIII მუხლის თანახმად დენონსაციებისა და შეტყბინებათა შესახებ;

მუხლი XVI

1. ეს კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, ინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი XIII მუხლში აღნიშნულ სახელმწიფოებს უგზავნის ამ კონვენციის დამოწმებულ ასლებს.